287 1 230

287 1 230

16 01 2015

ქართა „ჯუთალა" 1973, 19 ივნისი
№ 118

...ვები, ახალგაზრდა კრიტიკოსის რეზო მიშველაძის ნოველები, ლეილა კვანტალიანის ახალი ნაწარმოებები და ვინ იცის კიდევ რამდენმა ნიშეერმა ლიტერატორმა მიიღო აქ ნათლობა. ამ ჟურნალმა პირველი სიგელი მოსწავლეთა მეორე სასწავლო შემოქმედებითს კონფერენციაზე მონაწილეობისათვის მაღლო და მას შემდეგ ყოველწლიურად ინარჩუნებს გამარჯვებულის სახელს.

1969 წლის 21 ნოემბერს ვარა სამხარაძე განათლების სამინისტროში სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვა, ამას მოჰყვა საიუბილეო მედალი ლენინის დაბადების ასი წლისთავის დღეებში.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ვარა მასწავლებელმა თავისივე კოლეგასთან, გიორგი კაბანაძესთან ერთად მყუდრო ოჯახი შექმნა. მერე იყო და სამი ქალიშვილი — ნინო, ქეთევანი და თამარი მერცხალივით აჭიკჭიკდნენ მათ კიდილყურეში.

ყოველდღიურ შრომასა და ძიებაში გაჰყოლოდა ვარა მასწავლებელი. მაინც ენერგიულად გაწარჩრომს მუშაობას. დრო და დრო აქვეყნებს მეთოდური ხასიათის წერილებს მოსწავლეთა მიტაცებების განვითარების შესახებ", ან კიდევ — „როგორ ვასწავლოთ ლიტერატურა სკოლაში". ამჟამად დამუშავებული აქვს ახალი თემა: „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სწავლების დროს".

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამაღლარი პედაგოგი: 1971 წლის 20 ივლისის ბრძანებულებით ვარა სამხარაძე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

საყვარელი პედაგოგის შეხვედრით აღფოთებული გამოვბრუნდი შინ, ეზოში გამოსულს მაინც იმ თეთრად აბრიალებული ალუჩისაკენ მიმერბოდა ფრთა.

— გათეთრდებოდი, გაჰალარავდებოდი, ჩვენ ძირფასო მასწავლებელო, აბა რა იქნებოდა... ვინ იცის, რამდენი ფეხაუდგმელი ბარტყი წამოიზარდა შენს კალთებქვეშ, რამდენს აეხილა თვალი, შეღონებულა და გადაფრინდა შენი ბუდიდან.

ჰოდა, მეც არ შემეძლო ორიოდე სიტყვა არ მეთქვა იმ სანუკვარ ადამიანზე, „ვინც შემაყვარა სიტყვა ქართული".

თეიმურაზ ლანჩავა.

ნარკვევების ახალი კრებული

წიგნის თარო

ბასული წლის დასასრულს წიგნის თაროებზე გამოჩნდა „მერანის" მიერ ტექნიკურად კარგად გამოცემული წიგნი „ლიტერატურული წერილები" (რედაქტორი ე. ქარელიშვილი). წიგნის ავტორია ცნობილი ლიტერატორი, კრიტიკოსი, მკვლევარი და მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აკაკი თოფურია. მას ჩვენი მკითხველი მეტწილად იცნობდა ისეთი სასკოლო პედაგოგიურ-მეთოდიკური ნაწარმოებებით, როგორიცაა „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში". „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა", აგრეთვე ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევებით, მასობრივ-პოპულარული და მონოგრაფიული ნაწარმოებებით. აკ. თოფურიას კალამს ეკუთვნის ათეული წიგნი, რომლებიც სიყვარულით მიიღო მკითხველმა, ზოგიერთ კი სამაგიდო წიგნადაც გაიხადა.

აკ. თოფურიას მეთოდიკურმა ნაშრომებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, რომელსაც თმისშემდგომ პერიოდში ალარ გააჩნდა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო. პროფ. მიხ. ზანდუკელისა და სხვა ავტორების მეთოდიკის კურსები უკვე დიდი ხნის წინ იყო გადაქცეული ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, ლიტერატორ-პედაგოგებსა და ფილოლოგ-სტუდენტებს კი ასეთი სახელმძღვანელო გადაუდებლად ესაჭიროებოდათ.

ახლახან გამოცემულ წიგნში მკვლევარმა აკ. თოფურიამ შეკრიბა ჟურნალებში ადრე გამოქვეყნებული ზოგიერთი ნარკვევი, რომლებშიც ეხება ქართული საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, მისი განვითარების დღევანდელ პროცესებს, სოციალისტური რეალიზმის ცალკეულ საკითხებს.

ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევების ახალი კრებული იხსნება სტატიით „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია". მასში აკ. თოთურია გამოარჩევს იმ ახალ, ცხოვრებისეულ მოვლენებს, რაც ასახულია თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის რიგ თვალსაჩინო ნაწარმოებში (კ. ლორთქიფანიძის „გაუშარჯოს დონკიხოტს", გ. ჩიქოვანის „მშვიდობით არჩილ", რ. ჯაფარიძის „ვერცხლის ბლაბუდა", ა. სულაკაურის, ო. ჩხეიძის, ნ. დუმბაძის, თ. ჭილაძის, ე. ყიფიანის, ლ. მრელაშვილის, ე. მაისურაძის, რ. ჭეიშვილის და სხვათა რომანებსა და მოთხრობებში). აქვეა პირველად, შედარებით გრცლად განხილული გურამ ფანჯიკიძის ასე ფართოდ გაბმაურებული რომანი „თვალი პატიოსანი", რომელმაც მკითხველთა ფართო წრეებში ცხრელი გამოხმაურება ჰპოვა. მკითხველმა მოიწონა ნაწარმოები, რომელიც დაეხმარა მას ჩვენს ცხოვრებაში არსებული ზოგიერთი მანკიერი მხარეების დაძლევაში.

რაში გამოიხატება „თვალი პატიოსანის" ასეთი პოპულარობა? აკენებს კითხვას მკვლევარი და თვითონვე პასუხობს: „უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ნაწარმოებში დასმულია მორალურ-ეთიკური და სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მთელი რიგი ისეთი მტკივნეული, აქტუალური, საკონტროლო პრობლემები და საკითხები, რომლებიც მეტწილად სიძლიერით ერთნაირად ეხება ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მთელ რიგ მაგისტრალურ შრეს, ერთნაირად ფიქრებს და აღელვებს ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ყველა იმ შრეებულ, ჯანსაღ ნაწილს, რომელსაც ნამდვილად შესტკივა გული მის ხვალინდელ დღეზე, მისი განვითარების გზაზე შემაფერხებელ და ხელისშემშლელ ფაქტორებზე. ამასთან ნაწარმოებისადმი ჩვენი ინტერესის გაძლიერების ხელს უწყობს პირველ რიგში მწერლის მამხილებელი ტენდენციის გაბედული, პირდაპირი, ბასრი მიმართება ჩვენი თანამედროვე ცხოვრების იმ მახინჯი, უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ, რომლებიც ასე აშკარად, მკვეთრად, კონდენსირებულად და მოურიდებლად არის გამოსახული მასში" (გვ. 23). აკ. თოფურიას გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანის" იდეურ-მხატვრული მხარეების განხილვის შედეგად საკუთარი სწორი დასკვნები აქვს გამოტანილი. უნდა ითქვას, რომ ამ პირველი ნარკვევის კრიტიკული პათოსი მეტწილად მიპყრობა კრებულში მოთავსებულ ხუთ ნაშრომებსაც.

შემდეგ ნარკვევში აკ. თოფურია ცალკე გამოწვლილავს იმ ახალს, რაც შეიტანა დიდმა საბჭოთა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. მართალია, აკ. თოფურიას ნარკვევი დაწერილია მ. ჯავახიშვილის რჩეულ თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ კრიტიკოსი არსებითად არჩევს პროზაიკოსის უმთავრეს ნაწარმოებებს და ცდილობს განსაზღვროს მისი ადგილი ჩვენს მწერლობაში.

ჯერ არავის გაუხდია ცალკე კვლევის საგნად გ. გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. მაგრამ მწერლის რჩეულ თხზულებათა რვატომეულის გამოსვლის საკითხმა რამდენადმე გააჯერა ეს ამოცანა. ახლა ჩვენს წინაა მწერლის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების რამდენიმე ტომი, რომლებშიც შეტანილია კ. გამსახურდიას უმთავრესი ნარკვევები. აკ. თოფურია ვრცლად მიმოიხილავს მათ.

აკ. თოფურიას წიგნში მოცემულია აგრეთვე ზოგიერთი ქართველი საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი. აქ განხილულია გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. ბელიაშვილის, ა. ლომთათიძის, ხ. ბერულავას, ა. ლომთათიძისა და სხვა შემოქმედთა ცალკეული საკითხები რომელთაც ნაწარმოებები.

ცალკე ალარ შევჩერდებით ამ ნარკვევებზე. აღვნიშნავთ, მხოლოდ რომ აკაკი თოფურია თავის სტატიაში „კრიტიკის მაღალი იდეურობისა და პრინციპულობისათვის" შეეხო არაერთ აქტუალურ საკითხს და, ჩვენი აზრით, სწორი პასუხი გასცა მათ. ნარკვევში „წიგნები და შთაბეჭდილებები" ავტორმა ჯეროვანი შეფასება მისცა გ. ჯიბლაძის, ხ. ჭილაიას, ბ. ეულენტის, ე. მაღრაძის, რ. ჯაფარიძის და სხვათა ნაშრომებს.

აკ. თოფურიას წიგნი ჩვენს ყურადღებას იპყრობს ძიებით, პოლემიკური ტონით, გაბედული განზოგადებებით. ამ თვალსაზრისით წიგნის პირველი სტატიის („კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია") გარდა მეტად საგულისხმოა მისი პოლემიკა ზოგიერთ ავტორთან (გვ. 267).

დასანანია მხოლოდ ის, რომ ავტორს კრებულში რატომღაც არ შეუტანია ზოგიერთი თავისი ნარკვევი, რომელიც ადრე ჩვენს ლიტერატურულ პრესაში იყო გამოქვეყნებული და მათი განშეორებით წაკითხვა სასარგებლო იქნებოდა ყველასათვის.

ისიც დასანანია, რომ ეს ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკული ნარკვევების კრებული მცირე ტირაჟით (2 ათასი ცალი) გამოვიდა.

ნ. ნიკოლეიშვილი,
პედაგოგი.

აგრონომის საუბარი

ამბროზია და მასთან ბრძოლა

ამბროზია მეტად საშიში სარანტინო სარეველაა, რომელიც სწრაფად მრავლდება. იგი ადვილად ავიწროებს სასოფლო - სამეურნეო კულტურების განვითარებას, ამცირებს მოსავლიანობას, აშრობს ფიქალთა სისტემას, ფიტავს ნიადაგს საკვები ნივთიერებებისაგან.

ამბროზია რამდენიმე სახისაა. აქშანფოთლიანი, სამნაკვთიანი და შრავალწლიანი.

აქშანფოთლიანი ამბროზია ალმოჩენილია ქ. ქუთაისში, კერძოდ, ავტოქარხნის ტყის, ორივე მხარეს ინდივიდთა სახლამდე, ავტოქარხნის დასახლებაში, თითქმის ყველა ეზოში. გამდინარე არხების ნაპირებზე და ეზოებში, რძის ქარხნიდან წყლუკიძის ტყის დასასრულამდე, ახალგაზრდობის პროსპექტზე სადგურ რიონის ჩათვლით, სადგურ 1 და 11 რკინიგზების გასწვრივ საწარმო ორგანიზაციებში შემავალ ჩიხებში, ე. ი. ვაქჩაძის ტყის, ორივე მხარეს, ტროლეიბუსების პარკიდან ავტოქარხნის ტყის გადაკვეთამდე. პურპროდუქტების ბაზასა და იქვე მდებარე ტყეში, № 5 წისქვილკომბინატის მომართულებით ტყის ორივე მხარეს, ქუთაისის სასელექციო-საცდელი სადგურის სათბურებთან, სატყეო მეურნეობის ნაკვეთებში და სხვა ადგილებში.

ავშანფოთლიანი ამბროზია მრავლდება თესლით, რომელიც ბრმოკვლების უნარს მრავალ წლიან მანძილზე ინარჩუნებს. ერთი მცენარე 3.000 — 10.000 თესლს იძლევა, რითაც ასარეველიანებს როგორც მოსავალს, ისე ნიადაგს.

ამბროზია საშიშია არა მარტო სოფლის მეურნეობისათვის, არამედ იგი მეტად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვისაც. მისი ყვავილია მტვერი იფიტებია რამდენიმე კილომეტრზე. ამ დროს ავადდება ადამიანი ბრონქიალური ასტმით, ცივებით, დერმატიტით? ნერვული სისტემის დაზიანებით და ალერგიული დაავადებებით.

მიუხედავად აღნიშნულ მდგომარეობისა მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად, უხარისხოდ, ვადების დარღვევით ჩატარდა. დაშაყოფილდნენ ამ სარეველას ერთჯერადი გათიბვით და ისიც ბევრ შემთხვევაში ყვავილობის შემდეგ.

სკარანტინო-სარეველა მცენარის ამბროზიის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისათვის საჭიროა სარეველებთან ბრძოლა ჩატარდეს კალენდარულ ვადებში ყვავილობამდე, როგორც აგროტექნიკური (მოთხრა-მოთიბვა), ასევე ქიმიური 15-20 პროცენტიან, რკინის ძაღის ხსნარით დამუშავება (შესხურება).

ამბროზიას წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ, სარეველების მოსპობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმო-დაწესებულებებმა. მოსახლეობამ და ახალგაზრდობამ, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას და ამასთან თავიდან აიცილებთ ამ სარეველათა გამოწვეულ ადამიანთა დაავადებას.

ამბროზიას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განიხილა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1973 წლის 21 მარტს და დაავალა საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები საკარანტინო სარეველა აშანთოთლიანი ამბროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამ დადგენილების შესრულება სისტად მიმდინარეობს.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით , ამბროზიას წინააღმდეგ ბრძოლის ერთი შემსრულებელი — საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები ჯარიმდებიან 30-დან 50 მანეთამდე, აღრონომები და ბრიგადირები 15-დან 30 მანეთამდე, მოშებე. მოსამსახურეები და მოქალაქეები 10-დან 20 მანეთამდე. ის პირნი, რომლებიც ერთდაიმავე წელს განმეორებით დაარღვევენ სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის წესებს, ორმაგად ჯარიმდებიან.

ვ. ძოწენიძე.

ქუთაისის სარაიონთაშორისო მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი აგრონომ-ინსპექტორი.

სტრიქონები ტურისტის შთაბეჭდილებებიდან

ჩვენი ქალაქი ყოველწლიურად უამრავ ტურისტს მასპინძლობს. ზამთრის სეზონში დღემდე ტურბაზის კოლექტივი შვიდიათასამდე კაცს მოემსახურა. ამჟამად ქუთაისს ეწვევიან 42, 45 და 80 მარშრუტის ტურისტები.

42 მარშრუტი იწყება ორჯონიკიძეში, შამისონის ულელტეხილის გამოვლით ჩამოდის ქუთაისში და აქედან მიემართება ციხისძირში.

45 მარშრუტის ტურისტები გამოივლიან ბაქოს, ერევანს, სევანს, თბილისს, ორი დღით დარჩებიან ჩვენს ქალაქში და გაემგზავრებიან ბათუმში.

სამხრეთ საქართველოდან ქუთაისში ჩამოვლენ 80 მარშრუტის ტურისტები. ბორჯომი - ბაკურიანი - ჯავის ხეობა - ზეკარის ულელტეხილი-ქუთაისი-მწვანე კონცხი—ბათუმი მათი მარშრუტია.

24 მაისს ჩვენს ქალაქს ესტუმრა 45 მარშრუტის ტურისტთა პირველი ნაკადი. მოკლე საუბრის ჩატარების წყარო გახდა ეკსკურსიამძღოლი დაწვრილებით უხსნის სტუმრებს ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის წარსულს.

მოგზაურობა გრძელდება, ვათვალიერებთ ქალაქს. ინსტრუქტორ მეთოდისტი გ. ალექსანდრია ქალაქის მიღწევებზე საუბრობს. გზადაგზა ავტობუსი ჩერდება და საუბარი გრძელდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგზე, კულტურაზე, ჩვენი ხალხის ადათ-წესებზე...

გზა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისაკენ ავიღეთ. ტურისტები გულისყურით ათვალიერებენ ქართულ ეროვნულ ორნამენტებს...

სადილის შემდეგ სტუმრები კოორტ წყალტუბოში მიემგზავრებიან. ენით გამოუთქმელ სიხარულს გრძნობენ ისინი.

ახლა ყოველთვის, თუმცა სჯობს

ტურისტთა ჯგუფებმა სურვილი-

რი პროფ. გ. ა. გლადკოვი: „ყოველი ადამიანის სიცოცხლე უამრავი მოამებელილებით არის აღსავსე. ბევრი მათგანი ღრმა ქვაბულ ტოვებს მეხსიერებაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს განცდები მაინც მკრთალდებიან და მხოლოდ მოგონებადღა იქცევიან. იქნებ მხოლოდ ერთხელ ისეთი რამ შეგხვდეს ცაქს, რასაც ცერასოდეს დაივიწყებ... კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის გამოვლის შემდეგ, საქმაოდ დაღლილი, ქუთაისში ვართ. სათნოება, კეთილშობილება, ადამიანის პატივისცემა, რასაც აქ ეგრძნობთ, ენით გამოუთქმელია. დიდ მადლობას ეუხდით ტურბაზის დირექციას, თანამშრომლებს...

ქუთაისში გატარებულ დაუვიწყარ დღეთა მოსაგონებლად დარჩეს ეს სტრიქონებიც“.

311 მარშრუტის ტურისტები ლვოვიდან, სოფიიროპოლდან, ბერსონიდან, დნეპროპეტროვსკიდან წერენ, რომ, ქუთაისელთა მაქსიმალობით მოხიბლულნი, კიდევ ეწვევიან ქალაქს, თორო ახლოს გაეცნობიან მის ცხოვრებას.

მომსახურების გაუმჯობესებისათვის

ამ დღეებში მინის ტარის ქარხნის კლუბში ჩატარდა კონფერენცია. აქ თავი მოიყარეს საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა, მომხმარებლებმა, სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. ქალაქის № 107 სამრეწველო მაღაზიის მუშაობის შესახებ ვრცლად ილაპარაკა დირექტორმა შ. ლოსაბერიძემ.

მომხსენებელმა . სამართლიანად აღიარა, რომ ქალაქის ამ უბანში 35 საწარმო-დაწესებულებაა თავმოყრილი და მაღაზიას არ შეუძლია მომხმარებელთა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ სამკერვალო გაერთიანების მკერავი ც. ღვინიანიძე, მინის ტარის ქარხნის წარმომადგენლები პ. ქახნიაშვილი, თ. ბაკურაძე, გალდაგა, ჯ. დვალი, საქტანსაცმელტრესტის მეშვეობის ბაზის დირექტორი შ. მიქაბერიძე, ქუთაისგაზობის დირექტორის მოადგილე ს. გუგენიძე.

ხ. ნიშნიანიძე.

თეატრი

1ᲛᲔ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

თოჯინების — ხვიტია (11,